# ხელშეკრულება აუდიტორული მომსახურების შესახებ № 2

ქ. თბილისი | 06.02.2012 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი **"193-ე დაწყებითი საჯარო სკოლა"** წარმოდგენილი მისი დირექტორის [illegible] სახით, შემდგომში - „დამკვეთი" და მეორე მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **"დაუ+"** წარმოდგენილი მისი დირექტორის **დავით ხოსრუაშვილის** სახით, შემდგომში - „შემსრულებელი" ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „დამკვეთი" ავალებს, ხოლო „შემსრულებელი" ასრულებს შემდეგი სახის მომსახურებას:

1.1.1. "დამკვეთი"-ს აუდიტორული მომსახურების გაწევა, კერძოდ: 193-ე დაწყებითი საჯარო სკოლის 2011 წლის <u>**დოკუმენტალური და ფინანსური აუდიტის ჩატარება.**</u>

## მუხლი 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1500 (ათასხუთასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

## მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2012 წლის 06 თებერვლიდან 29 თებერვლის ჩათვლით.

## მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. ანგარიშსწორება ხორციელდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

4.2. ანგარისწორებისთვის შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს ინვოისი ან გამარტივებული ანგარიშ-ფაქტურა.

4.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, არაუმეტეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

4.4. ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

## მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**5.1. დამკვეთს უფლება აქვს:**

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

**5.2. დამკვეთი ვალდებულია:**

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოწოდებულ ინფორმაციის სიზუსტესა და სისწორეზე პასუხისმგებელია დამკვეთი.

**5.3. შემსრულებელს უფლება აქვს:**

- მოსთხოვოს დამკვეთს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

**5.4. შემსრულებელი ვალდებულია:**

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების 3.1 პუნქტის შესაბამისად
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

6.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

6.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

7.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
7.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### მუხლი 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 9. სხვა პირობები

9.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
9.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| "დამკვეთი" | "შემსრულებელი" |
| --- | --- |
| ს.ს.ი.პ. 193-ე დაწყებითი საჯარო სკოლა<br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 203 851 581<br>იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ლაღიძის №7<br>სს"ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი: **LBRTGE22**<br>ა/ა **GE75LB0121149015526000**<br>საკონტ. ტელ:<br><br>დირექტორი | შ.პ.ს. „დაუ+"<br>საიდენტიფიკაციო ნომერი: 202 461 488<br>იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, დიღმის მასივი, III კვ. კორპ 1, ბ.77<br>სს "საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი: **BAGAGE22**<br>ა/ა **GE26BG0000000 607 318 700**<br>საკონტ. ტელ: 2 30 61 16; 2 30 64 46<br><br>დირექტორი<br>დავით ნოსრაშვილი |

# შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი №1

ქ.თბილისი 15 მარტი 2012 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სსიპ ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის დირექტორი ნინო კვარაცხელია, შემდგომში "დამკვეთი", როგორც სსიპ №193 საჯარო სკოლის უფლებამონაცვლე (საქ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 3 თებერვლის ბრძანება №25/ნ) და მეორეს მხრივ, შპს "დაუ+"-ს დირექტორი დავით ხოსრუაშვილი, შემდგომში "შემსრულებელი" ხელმოწერით ვადასტურებთ შემდეგს:

"დამკვეთმა" 2012 წლის 6 თებერვლის ხელშეკრულება №2-ის საფუძველზე გაუწია აუდიტორული მომსახურეობა, კერძოდ ჩაატარა №193 დაწყებითი საჯარო სკოლის 2011 წლის დოკუმენტალური და ფინანსური აუდიტი. აუდიტორული დასკვნის ღირებულება შეადგენს 1500(ერთი ათას ხუთასი)ლარს.

სსიპ ქალაქ თბილისის №203

საჯარო სკოლის დირექტორი :

/ ნინო კვარაცხელია /

შპს "დაუ+" დირექტორი:

/დავით ხოსრუაშვილი/